



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ93. 9322320001

თარიღი:16/11/2022

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის საკომუნიკაციო საშუალებების ყოველთვიური ხარჯის გამოყოფისა და განაწილების შესახებ „ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 მაისის N ბ93.93221251 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1.შეტანილ იქნას ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის საკომუნიკაციო საშუალებების ყოველთვიური ხარჯის გამოყოფისა და განაწილების შესახებ „ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 მაისის N ბ93.93221251-ის ბრძანებაში.

2.შეიცვალოს ბრძანების დანართის მე-4 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული, ჩასარიცხი თანხის რაოდენობა:

ა)საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის - თორნიკე ტალახაძის საკომუნიკაციო საშუალებების ყოველთვიური ხარჯი განისაზღვროს 30(ოცდაათი) ლარის ოდენობით.

ბ)საკრებულოს წევრის -გიორგი ლამბაშიძის საკომუნიკაციო საშუალებების ყოველთვიური ხარჯი განისაზღვროს 15(თხუთმეტი) ლარის ოდენობით.

3. ბრძანებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

4. ბრძანების ფინანსურ ნაწილზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24

საკრებულოს თავმჯდომარე კარლო ჯამბურია

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

